მასწავლებელი: ქალთამზე მელქაძე	
საგანი: სამოქალაქო განათლება	კლასი : X
თემა: არასრულწლოვანთა დანაშაული	დრო: 45 წუთი
მოსწავლე: 25	
გაკვეთილის ტიპი: პრობლემაზე ორიენტირებული	

გაკვეთილის მიზანი. კადეტები გაეცნობიან სისხლის სამართლის კოდექსის თავებს, რომელიც დათმობილია არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხებს, გაეცნობიან არასრულწლოვანთა უფლებებს საგამომძიებლო პროცესის მიმდინარეობისას. შეძლებენ ინფორმაციის ანალიზს. გამოუმუშავდებათ ანალიზის, დასკვნების გაკეთებისა და პრეზენტაციის უნარები.

კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:

მოქ. X 9. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს საქართველოს სახელმწიფო მმართველობის სისტემის განვითარების პროცესი.

მოქ.X.10. მოსწავლეს შეუძლია საქართველოს მოქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობების კვლევა და გამოყენება.

მოქ.X.11. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს მოქალაქეების როლი ქვეყნის დემოკრატიაში

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ნომელიმე სამართალდამცავი სახელმწიფო ორგანოს (მაგ: პოლიცია, სასამართლო, სახალხო დამცველი ან სხვა) ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მაგალითზე განიხილავს მათ უფლებამოსილებას, დანიშნულებას (ან მიზნებს) და საქმიანობას მართლწესრიგის დაცვაში; აფასებს არსებული პრაქტიკის ნაკლოვან და წარმატებულ მხარეებს;

როის ხაზზე აღნიშნავს იმ ეტაპებს, როდესაც მოიპოვა მისთვის მნიშვნელოვანი უფლება და გაუჩნდა განსაკუთრებული მოვალეობა; იმავე ხაზზე აღნიშნავს ეტაპებს, როდესაც მას განსხვავებული (დამატებითი ან გაფართოებული) უფლება- მოვალეობები გაუჩნდება

წინარე ცოდნა: მოსწავლეებს შეუძლიათ პრობლემის განსაზღვრა, შეუძლიათ დასახონ მიზანი თუ რისი მიღწევა სურთ, განსაზრვრული აქვთ მიზანი და მიზნის მისაღწევი გზები.

შეფასების საგანი და პროცედურები:

პრეზენტაცია, შეფასების რუბრიკა

სასწავლო მასალა და ტექნიკური რესურსი: სახელმძღვანელო, კომპიუტერი, პროექტორი, ფლიპჩარტი, კალამი.

1 ფაზა

საორგანიზაციო საკითხები

აქტივობა -1 გაკვეთილის მიზნისა და შეფასების კრიტერიუმების გაცნობა – **2 წთ;**

აქტივობის მიზანი – კადეტებს გავაცნო გაკვეთილის მიზანი, დაგეგმილი აქტივობები და შეფასების კრიტერიუმები.

აქტივობის აღწერა–კადეტებს ვაცნობ გაკვეთილის მიზანს, გაკვეთილზე განსახორციელებელ აქტივობებსა და შეფასების სახეებს.

აქტივობა –2 პროვოცირება (კითხვარის შევსება) – **5 წთ.**

ორგანიზების ფორმა –მთელი კლასი

აქტივობის მიზანი–გავარკვიოთ რა ვიცით არასრულწლოვანთა დანაშაულისა და სისხლის სამართლის კოდექსში მათთან მიმართებაში გასათვალისწინებელი საგამომძიებლო წესების შესახებ.

აქტივობის აღწერა – მასწავლებელი კადეტებს ურიგებს კითხვარის ბარათებს და აძლევს ინსტრუქციას როგორ შევავსოთ კითხვარი.

აქტივობის შედეგი– გავიგებთ რამდენად კარგად ვიცნობთ კანონს არასრულწლოვანთა შესახებ.

2 ფაზა

აქტივობა -2 საშინაო დავალების პრეზენტაცია – **20 წთ.**

აქტივობის მიზანი – კადეტების თანამშრომლობითი, ანალიტიკური და პრეზენტაციის უნარების ამარლება

აქტივობის აღწერა – კადეტები წარმოადგენენ პრეზენტაციას ჯგუფებში განაწილებული დავალებების არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ. პირველ ჯგუფი წარმოადგენს პრეზენტაციას „არასრულწლოვანი და კანონი“, მეორე ჯგუფი წარმოადგენს პრეზენტაციას არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის შესახებ, მესამე ჯგუფი წარმოადგენს პრეზენტაციას „არსრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ წარსულში“, მეოთხე ჯგუფი წარმოადგენს პრეზენტაციას „სახელმწიფო, სკოლა და თემი არასრულწლოვანთათვის“. ჯგუფებს მიეცემათ 5 წუთი პრეზენტაციისათვის.

აქტივობის შედეგი–კადებში პრეზენტაციის უნარების განვითარება. პრეზენტაცის შეფასებისას ყურადღებას მივაქცევ როგორ ფლობს პრეზენტატორი აუდიტორიას და ადარებს მოვლენებს, ფაქტებს, საგნებს, იცავს დროის ლიმიტს

აქტივობა – 3 ვიქტორინა **5 წთ.** (ორგანიზების ფორმა – მთელი კლასი)

აქტივობის მიზანი: მიღებული ცოდნის შეფასება

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი ეკრანზე გამოიტანს კითხვებს, რომელსაც დაუსვამს კადეტებს. მოვახდენ მიღებული ცოდნის შეფასება

აქტივობის შედეგი––მიღებული ცოდნის შეფასება.

აქტივობა –4 ჯგუფური მუშაობა **10 წთ** (ორგანიზების ფორმა – მთელი კლასი)

აქტივობის მიზანი: მოსწავლეებში ანალიტიკური და კრიტიკული უნარის განვითარება

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი ჯგუფებად დაყოფილ კადეტებს მიცემს დავალებას სიტუაციურ ამოცანებს არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ და ისინი წარმოადგენენ პრეზენტაციას კონკრეტულ სიტუაციებში რას ითვალისწინებს კანონი.

აქტივობის შედეგი––მოსწავლეებში არგუმენტირებული მსჯელობის, ანალიზის, თანამშრომლობის პრეზენტაციის უნარის განვითარება.

3 ფაზა

აქტივობა –5 შეჯამება –რეფლექსია **2 წთ** (ორგანიზების ფორმა – მთელი კლასი)

აქტივობის მიზანი: გაკვეთილზე მიღებული ცოდნის შეჯამება

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი შეაჯამებს გაკვეთილს, მოახდენს უკუკავშირს და გააკეთებს დასკვნას.

აქტივობის შედეგი––ახალი მასალის უკეთ აღქმა და დასკვნის გაკეთება

საშინაო დავალება – **1 წთ**

კლასს საშინაო დავალებად ეძლევა დაწერონ ესე: „ როგორ დავიცვათ თავი დანაშაულისაგან“.

შეფასება

მოხდება მოსწავლეების შეფასება განმსაზღვრელი და განმავითარებელი ნიშნით.

შეფასების რუბრიკები

ცხრილი – 1

კრიტერიუმები	**1-6ქ.**	**7-8ქ.**	**9-10ქ.**
პრეზენტაცია	შესავალი არ არის საინტერესოდ წარმოდგენილი, ვერ ავლენს შემოქმედებითობის უნარს, სათანადოდ ვერ იყენებს თვალსაჩინოებებს, უჭირს აუდიტორიასთან კავშირის დამყარება, დროის ლიმიტის დაცვა.	შესავალი საინტერედოდაა წარმოდგენილი, მეტ-ნაკლებად ავლენს შემოქმედებითობის უნარს, თემასთან არის ლოგიკური ჯაჭვი, იყენებს თვალსაჩინოებებს, ამყარებს აუდიტორიასთან კავშირს.უჭირს დროის ლიმიტის დაცვა.	შესავალი საინტერესოდაა წარმოდგენილი, ავლენს შემოქმედებითობის უნარს, თემასთან არის ლოგიკური ჯაჭვი, იყენებს თვალსაჩინოებებს, ამყარებს აუდიტორიასთან კავშირს. იცავს დროის ლიმიტს.

კოლეგების უკუკავშირი

1.რამდენად ეხმარება გაკვეთილი კოლეგებს პროფესიულ განვითარებაში?

2.რომელ აქტივობას გამოიყენებდით თქვენს გაკვეთილზე?

3.რამდენად დაეხმარება გაკვეთილი მასწავლებელს ახალი იდეების კონსტრუირებაში?

4. რა რჩევებს მომცემდით სამომავლოდ?